



მიმდინარე ანგარიშგება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონის მიხედვით*

1. მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი – მაისი 2013 წელი
2. არსებითი ფაქტის (მოვლენის) მოხდენის თარიღი: 2013 წლის აპრილი-მაისი
3. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს დასახელება: სს „საქართველოს ბანკი“
4. ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი:

ქ. თბილისი, 0160, გაგარინის ქუჩა #29 ა, ტელ: 444-444, 444-227;



მიმდინარე ანგარიშის შინაარსი:

I. ინფორმაცია საწარმოს შეფასებით საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენის შესახებ.

2013 წლის 05 აპრილს სს „საქართველოს ბანკი“-ს ხმების 75%-ზე მეტმა მფლობელმა აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება:

1. სს „საქართველოს ბანკი“-ს 2012 წლის მოგების ნაწილის დივიდენდის სახით განაწილების შესახებ (ერთ აქციაზე 1.50 ლარის ოდენობით).

სს „საქართველოს ბანკი“-ს დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა, 2013 წლის 19 აპრილი (18.00 სთ-ის მდგომარეობით).

სს „საქართველოს ბანკი“-ს დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვრა 2013 წლის 7 მაისი.

2. სს „საქართველოს ბანკი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის, **ბატონ დევიდ მორისონისა და ბატონ იან ჰეიგის** სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ხელახალი არჩევის შესახებ შემდგომი 4 წლის ვადით (4 წლიანი ვადის ამოწურვის გამო).

II. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების შესახებ;

2013 წლის 01 მაისს ბატონმა ვასილ რევიშვილმა „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის თანამდებობა დატოვა.

გენერალური დირექტორი

ირაკლი გილაური

გენერალური დირექტორის მოადგილე

ნიკოლოზ გამყრელიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

ზორანდილ ნამიჩეიშვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე

ირაკლი ბურდილაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

სულხან გვალია

გენერალური დირექტორის მოადგილე

არჩილ გაჩეიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე

მიხეილ გომართელი

* ანგარიშგება წარმოდგენილია სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის ხელმოწერის გარეშე, ვინაიდან მიმდინარე ეტაპზე იგი არ იმყოფება საქართველოში